



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### ელექტროამძრავი

ელექტროამძრავი, ელექტრული ამძრავი, ელექტრომექანიკური მოწყობილობა, რ-ის დანიშნულებაა მუშა პროცესების ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია. ე. ფართოდ გამოიყენება ლითონმჭრელ ჩარხებში, საგლინავი დგანებისა და სხვა მეტალ. წარმოების დანადგარებში, სამთო დარგში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას, ტვირთების ტრანსპორტირებისა და მგზავრების გადაყვანისას, მოსახლეობის და საწარმოების წყლითა და ჰაერით მომარაგებისას, სოფლის მეურნეობაში, მსუბუქ და კვების მრეწველობაში და ა. შ. ვინაიდან, ტექნოლოგიური რეჟიმების შესაბამისად, იცვლება საწარმოო მანქანებისა და მექანიზმების მექან. სიმძლავრე, ამიტომ ე-ის დანიშნულებაა, აგრეთვე, მექან. ენერჯის ნაკადის მართვა, რ-იც წარმოებს ელექტრული მეთოდებით. ნებისმიერი ავტომატიზებული ე. შედგება ელექტრული ძრავისაგან, გადამცემი მოწყობილობისაგან (რ-იც აკავშირებს ძრავას საწარმოო მანქანის მუშა ორგანოსთან), ძრავის მართვის სისტემისა და გარდამქმნელი მოწყობილობისაგან. ე-ში გამოიყენება როგორც მუდმივი (დამოუკიდებელ, მიმდევრობით, ან შერეულაღგზნებიანი), ასევე ცვლადი დენის (ასინქრონული, სინქრონული, ხაზური, ბიჭური) ძრავები. ძრავის მიერ გამოიმუშავებული მექან. ენერჯია გადამცემი მოწყობილობის (კბილანური, ფრიქციული, ღვედური და ა. შ.) საშუალებით გადაეცემა მანქანა მოწყობილობის მუშა ორგანოს. ე-ის მართვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს ძრავის ჩართვა, გამორთვა, რევერსირება, სინქარის რეგულირება, დაცვა და სხვ. გარდამქმნელი მოწყობილობა საშუალებას იძლევა ე-ის მკვებავი ქსელის სამფაზა დენი გარდაიქმნას მუდმივ ან სხვა სიდიდის ან სიხშირის მქონე სამფაზა დენად. საქართვ. ტექნიკური უნ-ტი დაარსებიდანვე ამზადებდა ე-ის სპეციალისტებს (ინჟინერ-ელექტრომექანიკოსებს). ამჟამად ეს ტრადიცია გრძელდება უმაღლესი პროფ. მომზადების, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე გ. მაჩაბელის, ე. ლონიაშვილის, ჯ. დოჭვირისა და ბ. ჭუნაშვილის ხელმძღვანელობით, რ-თაც მნიშვნელოვანი შედეგები აქვთ მიღებული ე-ის დინამიკის, ბაგირგზების ე-ის მართვის სისტემის, ბრტყელი ბიჭური

ძრავებისა და სხვა სისტემების გამოკვლევებისას. პროფ. ე. ღონიაშვილის ნაშრომი „პრეციზიული ბიჭური ბრტყელი ელექტროამძრავი“ აღინიშნა სსრკ სახელმწ. პრემიით (1981).

ლიტ.: Ч и л и к и н М. Г., С о к о л о в М. Н., Т е р е х о в В. М., Ш и н я н с к и й А. В., Основы автоматизированного электропривода, М., 1974 .

**გ. მანაბელი**

---